პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 22 იანვარი, 1944 წ. № 16 (6910). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ გოვოროვს
არმიის გენერალ მერეცკოვს

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა ვოლხოვის ფრონტის ჯარების პირდაპირი ხელშეწყობით, გადავიდნენ რა შეტევაზე მგის მიმართულებით, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა და დღეს, 21 იანვარს, დაიკავეს ქალაქი და მნიშვნელოვანი რკინიგზის კვანძი მგა — გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი.

გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და ქალაქ მგისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ სვირიდოვის, გენერალ-ლეიტენანტ სტარიკოვის, გენერალ-მაიორ პარამზინის, გენერალ-მაიორ აბასლიამოვის, პოლკოვნიკ პაპჩენკოს, პოლკოვნიკ სოკოლოვის ჯარებმა, არტილერიის გენერალ-მაიორ კორობჩენკოს, არტილერიის გენერალ-მაიორ ბეზრუკის არტილერისტებმა და პოლკოვნიკ კისლიცინის ტანკისტებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „მგის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 21 იანვარს, 23 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვეშეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა და დაიკავეს ქალაქი მგა.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებმაც განახორციელეს გარღვევა და რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ მგისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

ხიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წ. 21 იანვარი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
21 იანვრის ოპერაციული ცნობა

21 იანვრის განმავლობაში კრასნოე სელოს სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები გლუხოვო, ვიტინო, რიახმოზი, კელოზი, კელია, რიახკელევი, მულდია, რუსკო-ვისოცკოე, ტელიზი, ლაგოლა, კაინელაიზი, სვეორიცი, აროკაპოზი, მალაია ივანოვკა. ჩვენი ჯარების მიერ სავსებით ლიკვიდირებულია განადგურებულ გერმანელ ფაშისტთა ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლებში გარშემორტყმული დაჭაჭული ჯგუფები.

ტოსნოს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი მგა, აგრეთვე ბრძოლით დაიკავეს დასახლებული პუნქტები პეტრუშინო, პავლოვო, მუსტოლოვო, ცნიგრი, კელკოლოვო, მუშათა დება 1-ლი ესტონსკი, მუშათა დება მიხაილოვსკი, ტორტოლოვო, მიშკინო, სლავიანკა, კარბუსელი, ლოდვა, ვინიაგოლოვო და რკინიგზის სადგური აპრაქსინი.

ნოვგოროდის დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მოსპეს მოწინააღმდეგის დაჭაჭული ჯგუფები, რომლებიც გარშემორტყმული იყვნენ ტყეებში ქალაქ ნოვგოროდის დასავლეთით.

კალინკოვიჩის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევის ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს პოლესიეს ოლქის რაიონული ცენტრი ოზარიჩი, აგრეთვე დაიკავეს რამდენიმე სხვა დასახლებული პუნქტი და მათ შორის ოსტროვი, რილოვიჩი, ხოვიჩი, ვიშა, სავიჩი, ბერეზნიაკი, პესკი, კაპლიჩი.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა, საარტილერიო-სანაღმტყორცნო ხოლა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

20 იანვრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 51 ტანკი.

* * *

ქალაქ კრასნოე სელოს სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებით შეტევას. საბჭოთა ჯარების განუწყვეტელი დარტყმებით მოწინააღმდეგე სამხრეთის მიმართულებით იხევს უკან და ზედი-ზედ სტოვებს გამაგრებულ პოზიციებს. 6 შეაერთის ნაწილებმა, რომლებიც ბრძოლით მიიწევენ წინ, გაჟლიტეს 2.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს 29 ქვემეხი, აგრეთვე რამდენიმე საწყობი საჯარისაოდ, საომარ მასალიანად და სამხედრო ქონებიანად. ჩვენი სხვა შენაერთის მებრძოლებმა გაანადგურეს მტრის ქვეითი ჯარის პოლკი და ხელთ იგდეს დავლა და ტყვეები.

* * *

ტოსნოს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. გადალახეს რა ხანგრძლივი თავდაცვით ნაგებობანი, რომლებსაც გერმანელები ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აუმჯობესებდნენ, საბჭოთა ნაწილებმა სწრაფად წაიწიეს წინ და დაიკავეს ლენინგრადის ოლქის რაიონული ცენტრი და მნიშვნელოვანი რკინიგზის კვანძი — ქალაქი მგა. ჩვენმა ჯარებმა წარმატება განავითარეს, გაიფართოეს გარღვევის ფრონტი და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. მოწინააღმდეგის დამარცხებული ნაწილები უკან იხევენ და სტოვებენ თავიანთ იარაღს, ხელთ ვიგდეთ ტყვეთა მრავალრიცხოვანი რაოდენობა.

* * *

ნოვგოროდის დასავლეთით ჩვენი ჯარები გააგრძობდნენ შეტევის განვითარებას. ცალკეულ უბნებზე გერმანელები შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევენ, მაგრამ ვერ უძლებენ საბჭოთა ქვეითი ჯარის დარტყმას. 6 შენაერთის ნაწილები ბრძოლით მიიწევენ წინ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დიკავეს. ერთი ძლიერ გამაგრებული პუნქტისთვის ბრძოლაში გაელეტილია ჰიტლერელთა ორი ბატალიონი. გერმანელებს წაგართვეს 3 ტანკი, 2 თვითმავალი ქვემეხი, 8 ეჭსლულიანი ნაღმსატყორცნი, 62 ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა. წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბანზე მოწინააღმდეგე კონტრიერიშზე გადმოვიდა. საბჭოთა ქვეგანაყოფები ჰიტლერელებს ჯვარედინი ცეცხლით შეხვდნენ და აიძულეს ჩაწოლილიყვნენ. შემდეგ ჩვენმა მებრძოლებმა სწრაფად წაიწიეს წინ გერმანელთა ფლანგებზე და სამი მხრიდან ერთდროული დარტყმით გაანადგურეს ისინი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 800-ზე მეტი გვამი.

* * *

ნოვოსოკოლნიკის ჩრდილოეთით ერთ უბანზე მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის ბატალიონმა, ოთხმა ტანკმა და სამმა თვითმავალმა ქვემეხმა კონტრიერიში მოიტანა. გვარდიელმა ჯავშანმტვრეველებმა ამხ. კუზეევმა, ლობასტოვმა და სემენკოვმა ახლო მანძილზე მოუშვეს გერმანელები, სროლა გააჩაღეს და დაზიანეს ერთი ტანკი და 2 თვითმავალი ქვემეხი „ფერდინანდი“. ტანკსწინააღმდეგო თოფების ოცეულის მეთაურმა ამხ. პიეესმა დააზიანა კიდევ ერთი თვითმავალი ქვემეხი. ჩვენი ქვეგანაყოფების თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლქვეშ ჰიტლერელებმა ზარალით დაიხიეს პირველად პოზიციებზე.

* * *

კალინკოვიჩის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევის ბრძოლებს ეწეოდნენ. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა დასახლებულ პუნქტ ოზარიჩისათვის. მოწინააღმდეგემ ძლიერ გაამაგრა ეს პუნქტი და იგი თავდაცვის მნიშვნელოვან კვანძად აქცია. საბჭოთა ნაწილებმა გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა და დაიკავეს პოლესიეს ოლქის რაიონული ცენტრი ოზარიჩი. სოფლის მისადგომებზე და ქუჩებში დარჩა მტრის 1.000-ზე მეტი გვამი. მოსპობილია გერმანელთა 7 ტანკი, 16 საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარია, წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ქალაქ ნოვგოროდ-ვოლინსკის სამხრეთ-დასავლეთით გერმანელთა მოტოქვეითმა ჯარმა და ტანკებმა იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. რამდენიმე იერიშის შემდეგ მოწინააღმდეგემ მოახერხა ერთი დასახლებული პუნქტის დაკავება. ჩვენმა არტილერისტებმა, ტანკისტებმა და ქვეითებმა დღის ბოლოს კონტრდარტყმით უკუაგდეს გერმანელები პირველად პოზიციებზე და სავსებით აღადგინეს მდგომარეობა. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 400 გვამი, 24 დაზიანარი და დაზიანებული ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა და 6 ჯავშნატრანსპორტიორი.

* * *

შაივი ზღვის ფლოტის სანაპირო დაცვის მებრძოლებმა ხელთ იგდეს გერმანელთა სატრანსპორტო თვითმფრინავი „იუ-88“. რომელიც იძულებით დაეშვა ჩვენს ტერიტორიაზე.

* * *

ვოლინის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა 4 იანვარს ნაღმებზე ააფეთქა გერმანელთა ეშელონი საწვავიანად. მარცხისა და მის შემდეგ გაჩენილი ხანძრის შედეგად მოსპობილია ორთქმავალი და 6 ცისტერნა ბენზინიანად. მატარებელთა მოძრაობა ამ უბანზე შეწყვეტილი იყო ოთოლიმის განშავლობაში. ეშელონს სხვა რაზმის პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს მტრის 2 ეშელონი. დამტვრეულია 2 ორთქმავალი და 13 ვაგონი. მოლული და დაჭრილია 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ლენინ-სტალინის დროშით საბჭოთა ხალხი გამარჯვებისაკენ მიდის
ამხ. ა. ს. შჩერბაკოვის მოხსენება ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XX წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე 1944 წლის 21 იანვარს

ლენინის გზით

ამხანაგებო! აი უკვე 20 წელია, რაც საბჭოთა კავშირის ხალხები მუშაობენ და იბრძვიან ულენინოდ, მისი დიადი, ჩაუქრობელი იდეებით შთაგონებულნი. ყოველი განვლილი წელი ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის იდეათა სისწორისა და ცხოველუნარიანობის სულ ახალ-ახალ დადასტურებას იძლეოდა.

ლენინის გარდაცვალების ოცი წლისთავს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ წითელი არმიის შეტევის დღეებში. ამ სახელოვან ბრძოლებში ჩვენი ხალხი, ჩვენი არმია ლენინ-სტალინის დროშით აღწევენ გამარჯვებებს.

ახლა, როცა ჩვენმა სახელმწიფომ ფაშისტურ სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ომში გაძლო სასტიკ გამოცდებს, — კიდევ უფრო მკაფიოდ არის აღმართული ჩვენს წინაშე დიდი ლენინის სახე.

ძველი რუსეთის ისტორია, სხვათა შორის, ისაში მდგომარეობდა, რომ მას ურტყამდნენ სამხედრო ჩამორჩენილობისათვის, სამეურნეო ჩამორჩენილობისათვის, კულტურული ჩამორჩენილობისათვის, სახელმწიფოებრივი ჩამორჩენილობისათვის.

ლენინმა და სტალინმა გვიჩვენეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესობრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განმტკიცების გზები და საშუალებები. ცნობილია, რომ მეფის რუსეთი სულ უფრო და უფრო ჩამორჩებოდა თავის განვითარებაში მსოფლიოს ეკონომიური მხრივ მოწინავე ქვეყნებს და ამის გამო სულ უფრო და უფრო ვარდებოდა უცხოეთის სახელმწიფოთა კაბალაში. ჩვენი ქვეყანა იმ გზით მიდიოდა, რომელიც გარდუვალად დააკარგვინებდა მას სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ასეთი სირცხვილისაგან ჩვენი ქვეყანა იხსნა ბოლშევიკურმა პარტიამ. ითვალისწინებდა რა პირველი მსოფლიო ომის გამოცდილებას, რომლის მსვლელობაშიც ჩამორჩენილი მეფის რუსეთი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა, ლენინი, ოქტომბრის რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე, აბობდა: „ომი ულმობელია, იგი შეუბრალებელი სიმკვეთრით აყენებს საკითხს: ან დავიღუპოთ, ან დავეწიოთ მოწინავე ქვეყნებს და გავუსწროთ მათ ეკონომიურადაც... დავიღუპოთ, ან მთელი სიჩქარით გავსწიოთ წინ“. (ლენინი, ტ. XXI, გვ. 191).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და ლენინურ-სტალინური პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების შედეგად, საბჭოთა ქვეყანა მძლავრი ინდუსტრიული და საკოლმეურნეო სახელმწიფო გახდა. ისტორიას არ ახსოვს ისეთი სწრაფი ეკონომიური და კულტურული განვითარების მაგალითები, როგორიც ჩვენი მსოფლიოს ჩვენმა ქვეყანამ საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში.

საბჭოთა ხალხის მთელი ძალები შემარული იყო მძლავრი თანამედროვე მრეწველობის უმოკლეს ხანში შექმნისაკენ. ამ საქმეში დაყოვნება არ შეიძლებოდა. უზარმაზარ სივრცეზე, ბალტიკიდან წყნარ ოკეანემდე, ყინულოვანი ოკეანიდან შავ ზღვამდე გაჩაღდა საწარმოთა გიგანტური მშენებლობა, იქმნებოდა ახალი ქალაქები და სამრეწველო ცენტრები.

ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის ჩარხთმშენებლობა, ფოთმფრინავთმშენებლობა, საავტომობილო, სატრაქტორო, ქიმიური მრეწველობა, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის. ბევრად გაიზარდა ელექტროენერგიის, ნავთის პროდუქტებისა და ქვანახშირის წარმოება. უდიდესად განვითარდა შავი მეტალურგია. შეიქმნა ქვანახშირისა და მეტალურგიის ახალი მძლავრი ბაზა აღმოსავლეთში.

ცნობილია, რომ მეფის რუსეთი წარსულ მსოფლიო ომში ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო სამზიდრო განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მრეწველობა ვერ ამარაგებდა არმიას არათუ ისეთი ახალი საჭურველით, როგორიცაა თვითმფრინავები და ტანკები, არამედ იმ დროისათვის ჩვეულებრივი საბრძოლო ტექნიკითაც. რუსეთის არმიას თითქმის არა ჰქონდა მძიმე არტილერია, არ ჰყოფნიდა მსუბუქი არტილერია, ტყვიამფრქვეველები და შაშხანებიც კი. დაძაბული ბრძოლების პერიოდში არმია უყურმაბარებოდ და უვაზნებოდ რჩებოდა.

ახლანდელ ომში ჩვენი არმია არ განიცდის საჭურველისა და საომარი მასალების ნაკლებობას, წითელი არმიის საბრძოლო ტექნიკა სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება. ეს არის შედეგი რუსეთის საუკეთესობრივი ტექნიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის შესახებ ლენინისა და სტალინის დიადწინასწარდასახულობათა განხორციელებისა.

ამასთან არ შეიძლება დავიწყებულ იქნას, რომ 1914-1917 წლების ომში რუსეთ-გერმანიის ფრონტზე იდგა გერმანელთა და მათს მოკავშირეთა არაუმეტეს 127 დივიზიისა. ახლა, მეორე მსოფლიო ომში, გერმანიამ და მისმა ვასალებმა სსრ კავშირის წინააღმდეგ გამოიყვანეს არანაკლებ 260 დივიზიისა. მაშასადამე, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანელებსა და მათს ვასალებს ამჟამად ერთიორად მეტი არმია ჰყავთ, ვიდრე ეს პირველი მსოფლიო ომის დროს იყო.

სტალინურ ხუთწლედებში შექმნილი მძლავრი ინდუსტრია რომ არა გვქონოდა, შეუძლებელი იქნებოდა ისეთი ომის წარმოება, როგორიც წინათ მსოფლიოს არ უნახავს — არც ბრძოლების მასშტაბებით, არც მტრის არმიების ხასიათით, არც ომში მონაწილე სულ უახლესი ტექნიკის რაოდენობით. მით უფრო შეუძლებელი იქნებოდა გამარჯვებები ასეთ ომში.

საბჭოთა კავშირის მძლავრი მრეწველობა, წითელი არმიის საბრძოლო წარმატებათა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზად წარმოადგენს.

დარაზმა რა ხალხის მთელი ძალები თანამედროვე მრეწველობის შესაქმნელად, პარტიამ, ამასთან ერთად, როგორც კი საამისოდ პირობები მოიმზიფდა, ხელი მიჰყო სოფლის მეურნეობის ძირფესვიანად გარდაქმნას. კოლექტივიზაციის პოლიტიკის განხორციელებისშედეგად შეიქმნა სოციალისტური საზოგადოება ასაშენებლად აუცილებელი, ახალი გაადამწყვეტი პირობები. გარდაიქმნა სახალხო მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილი დარგი. დაქსაქსული გლეხური მეურნეობების და მათი დამახასიათებელი დახავსებული ტექნიკისა და ცხოვრების კონსერვატიული წყობის ნაცვლად ჩვენმა ქვეყანამ გაიჩინა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ამით სოციალიზმმა გაიმარჯვა სოფლად.

განხორციელდა ლენინისა და სტალინის დიადი წინასწარდასახულნი სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის შესახებ. ყველასათვის ცხადია, რომ ისეთი მასშტაბის ომის წარმოება, როგორიც ახლანდელი ომია, ზურგში ჩამორჩენილი, დაქუცმაცებული, ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის არსებობისას—პირდაპირ შეუძლებელი იქნებოდა.

კოლმეურნეობები, რომლებიც ამჟამად ომიანობის ძნელ პირობებში უზრუნველჰყოფენ არმიისა და ქვეყნის მომარაგებას სურსათით, ხოლო მრეწველობას — ნედლეულით, ფრონტისა და წითელი არმიის საბრძოლო წარმატებათა მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენენ.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში არა მარტო შეიქმნა ახალი, სოციალისტური ეკონომიკა, არამედ გამოიზარდნენ კადრებიც, რომელთაც უნარი აქვთ წინ წასწიონ ტექნიკა, ათვისონ იგი.

კადრების მომზადებაც ისეთივე ჩქარი ტემპებით გაჩაღდა, როგორც სამეურნეო მშენებლობა. გავიღეთ სულ რამდენიმე წელი და ჩვენს ქვეყანაში გაჩნდნენ ინჟინრების, ტექნიკოსების, კვალიფიციური მუშების მრავალრიცხოვანი კადრები მრეწველობაში, ტრანსპორტზე, ტრაქტორისტების, კომბაინერების, აგრონომების მრავალრიცხოვანი კადრები სოფლის მეურნეობაში. ამ ტექნიკურად მცოდნე კადრების არსებობამ თავის მხრივ საშუალება მოგვცა შეგვექმნა მრავალრიცხოვანი სამხედრო კადრები — არტილერისტები, ტანკისტები, მფრინავები, ჰაერსაწინააღმდეგო ქვემეხოსნები, ინჟინრები, ელექტრიკოსები, ავტომობილისტები, ტელეფონისტები, ელეფონისტები, ინფორმაციის ოფიცრები, ინფორმაციის ოფიცრები, ინფორმაციის ოფიცრ

ლენინ-სტალინის დროშით საბჭოთა ხალხი გამარჯვებისაკენ მიდის

ამხ. ა. ს. შჩერბაკოვის მოხსენება ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XX წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე 1944 წლის 21 იანვარს

(დასასრული)

ტული გეგმები, საბჭოთა კავშირის დასაპყრობად ნავარაუდევი.

ომის პირველ თვეებში არა მარტო ჰიტლერელებს, არამედ, გაზვიადებული არ იქნება ვთქვათ, რომ მოკავშირე ქვეყნების პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეთა უმრავლესობას, წითელი არმიის დროებითი წარუმატებლობანი მიაჩნდათ საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო და ეკონომიური სისუსტის გამოხატულებად. მათ ეგონათ, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჰიტლერელთა ურდოები ისეთსავე იოლსა და ელვისებურ გამარჯვებას მოიპოვებდნენ, როგორიც მათ მოიპოვეს დასავლეთში — პოლონეთში, ბელგიაში, საფრანგეთში და სხვ.

ჩემი სიტყვების დასადასტურებლად ჩვენ მხოლოდ ორ ცნობას მოვიყვანთ, თუმცა ასეთი ცნობები შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიც გნებავთ.

ამერიკელი ჟურნალისტი კესიდი თავის წიგნში „მოსკოვის ჩანაწერები“ იუწყება, რომ რუსეთის საქმეთა ექსპერტები მოკავშირეთა ბანკიდან ომის დასაწყისში წინასწარმეტყველებდნენ საბჭოთა კავშირის მალე დაღუპვას: „ყველა ექსპერტის საერთო აზრი, — სწერს კესიდი, — ისეთი იყო, რომ ომი რუსეთში გასტანდა სამი კვირიდან სამ თვემდე. ისინი მეტად გაკვირვებული დარჩებოდნენ, მათთვის რომ მაშინ ეთქვათ, დადგება ომის მესამე წელი, და წითელი არმია ძმიმე დარტყმებს აგებებს გერმანიის შეიარაღებულ ძალებსო“.

ამგვარსავე ცნობას შეიცავს ცნობილი ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწის — სტეტინიუსის წიგნიც: „მე მაგონდება,—სწერს იგი,— ბევრი დისკუსია, რომლის დროსაც ამბობდნენ, ომი რუსეთში 1 აგვისტოსათვის დამთავრდებაო (ლაპარაკია, რა თქმა უნდა, 1941 წლის 1 აგვისტოზე. — ა. შ.). ამ თვალსაზრისს მომხრენი ფიქრობდნენ, მთელი საუურველი, რასაც ჩვენ რუსეთში გავგზავნით, ალბათ, ჰიტლერს ჩაუვარდება ხელშიო. საბჭოთა ხალხის ერთიანობას და წითელი არმიის ძალას იმ დღეებში საკმაოდ ვერ აფასებდნენ არა მარტო ბერლინში, არამედ ვაშინგტონშიც და ლონდონშიც“.

რაც შეეხება საბჭოთა ხალხს, მას ბრძოლის ყველაზე ძმიმე დღეებშიც კი ერთ წუთსაც არ დაუკარგავს გამარჯვების რწმენა, ვინაიდან მან იცოდა, რომ ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით გარდაქმნილი ჩვენი სოციალისტური ქვეყანა ძლიერი და მძლავრია, რომ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები და მათი მოკავშირეები საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცეს ვერ შეარყევენ.

ხელმძღვანელობდნენ რა გარდუვალი წესით — მუდამ უთხრან ხალხს სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, ჩვენმა პარტიამ, ამხანაგმა სტალინმა უკვე ომის დასაწყისშივე მთელი ხმით უთხრეს მშრომელებს იმ უდიდესი საფრთხის შესახებ. რაც დაემუქრა საშშოლოს ფაშიტი ყაჩაღების მხრივ, და ამასთან ერთად, უკვე მაშინ, ომის პირველ დღეებში ჩვენი ბელადის, ამხანაგ სტალინის გენიამ გაიშუქა ომის პერსპექტივები და მობილიზაცია უყო არმიასა და ხალხს იმ სასიკვდილო საფრთხის დასაძლევად, რაც ჩვენს ქვეყანას მოელინა. ამხანაგი სტალინი მაშინ ამბობდა, გერმანელთა წარმატებებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დროებითი ხასიათი აქვთ, ჰიტლერელთა არმია უკუგდებული და დამარცხებული იქნება, როგორც დამარცხებულ იქნენ ნაპოლეონისა და ვილჰელმის არმიები. ახლა უკვე ყველასათვის აშკარაა, თუ როგორ სრულდება ამხანაგ სტალინის სიტყვები.

გასული წელი საშხედრო მხრივ წითელი არმიის უდიდეს გამარჯვებათა წელი იყო. საშამულო ომის მსვლელობაში ძირფესვიანი გარდატეხა მოხდა. სტალინგრადთან წარმოებული ბრძოლით აღინიშნა ამ ძირფესვიანი გარდატეხის დასაწყისი. ჰიტლერელები ჯერ კიდევ ინუგეშებდნენ თავს მძიმე კრიზისიდან თავის დაღწევის იმედით, და ამ იმედს ისინი ზაფხულის შემოტევას უკავშირებდნენ. მაგრამ გასული წლის ზაფხულში გერმანელებმა უკვე დროებით წარმატებათა მიღწევაც კი ვერ შესძლეს.

დაიწყეს რა თავიანთი დაგვიანებული საზაფხულო შემოტევა, ჰიტლერელებმა გამოაცხადეს, ეს იქნება გადამწყვეტი ლაშქრობა, რომელიც გერმანიას სრულ გამარჯვებას მოუტანსო. მაგრამ გერმანელთა საზაფხულო შემოტევა ლაკვიდირებულ იქნა წითელი არმიის მიერ. კურსკთან წითელმა არმიამ გერმანელ ფაშისტთა ჯარებს ახალი ხოცვა-ჟლეტა მოუწყო. კურსკის წინააღმდეგ შეტევაზე გამოყვანილი გერმანელთა ჯარები განადგურებულ იქნენ, და ჰიტლერელებმა უკვე ვერ შესძლეს შეეჩერებინათ ჩვენი ჯარების მიწოლა, რომლებმაც წარმატებით გაიარეს თავიანთი საზაფხულო შეტევა. „თუ სტალინგრადთან წარმოებული ბრძოლა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენებას მოასწავებდა, კურსკთან მოხდარმა ბრძოლამ იგი კატასტროფის წინაშე დააყენა“.

გასული წლის მთელი ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში ჩვენი ჯარები გაუწყვეტლივ მიერეკებოდნენ გერმანელებს დასავლეთისაკენ, ამსხვრევდნენ მოწინააღმდეგის ხანგრძლივს თავდაცვითს ნაგებობებს, ჭლახავდნენ წყლის უდიდეს ზღუდეებს, სტეხდნენ ჰტრის გაფფრებულ წინააღმდეგობას და ნაბიჯ-ნაბიჯ წმენდნენ საბჭოთა მიწა-წყალს ჩვენი საშობლოს მოსისხლე მტრებისაგან.

გერმანელთა სარდლობა ცდილობდა რადაც უნდა დაჯდომოდა შეენარჩუნებინა დნეპრის ხაზი. სექტემბრის დამლევს ჰიტლერელმა სარდლობამ თავის არმიას მიჰმართა ბრძანებით — აღარ დაეთმო არც ერთი მტკაველი მიწა. ჰიტლერი გერმანელებს არწმუნებდა, დნეპრი იქნება ზღუდე, რომელიც ერთმანეთისაგან გაჰყოფს ორ არმიას, ზამთრის პოზიციები დნეპრზე კარგად არის გამაგრებული და მოუვალად შეიძლება ჩაითვალოსო. და ბერლინის რადიო ვრცლად აღწერდა დნეპრის სიგანესა და სიღრმეს, მისი დასავლეთი ნაპირის სიმაღლეს, დნეპრის ნაპირთა მაღლობებზე გერმანელთა ეგრძანებული პოზიციების ხელსაყრელობასა და მიუვალობას. ჰიტლერელებს განზრახვა ჰქონდათ მტკიცედ ჩაბღაუჭებოდნენ დნეპრის პოზიციებს. მაგრამ, როგორც იტყვიან, ფაშატი ხელნას ებღაუჭებოდა, და მაინც დაიცალ (სიცილი და გამოცოცხლება დარბაზში).

უკვე ოქტომბრის დამდეგს საბჭოთა ჯარებმა გადალახეს დნეპრი და მის მარჯვენა ნაპირზე რამდენიმე პლაცდარმი შეჰქმნეს. ერთი თვის შემდეგ კი, საბჭოთა დროშა აფრიალდა უკრაინის განთავისუფლებული დედაქალაქის თავზე. კიევიდან გერმანელების განდევნის შემდეგ საბოლოოდ გაცამტვერდა გერმანელთა გეგმები, რომ დნეპრის ხაზზე გამაგრებულიყვნენ. უფრო მეტიც — ჩვენი ჯარების მიერ კიევის აღებით დაიწყო ბრძოლა მარჯვენა ნაპირის უკრაინისათვის.

ომის განვლილი გარდატეხის წლის გაკვეთილები უდავოდ მოწმობენ, რომ, ყველა „ტოტალური“ მობილიზაციის მიუხედავად, გერმანიის არმია სულ უფრო და უფრო სუსტდება, ხოლო წითელი არმიის ძალები იზრდება. ეს იქიდან სჩანს, რომ უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ჩვენს ჯარებს ხელთ უპყრიათ საომარი მოქმედების ინიციატივა. ეს სჩანს აგრეთვე იქიდან, რომ გერმანელთა ყველა ცდა, რომ წითელ არმიას ხელიდან გამოსტაცონ ინიციატივა, იფუშება. გერმანელთა კონტრიერიშები ფრონტის ვიწრო უბნებზედაც კი მათთვის სასურველ შედეგებს არ იძლევიან და ამ კონტრიერიშებს ჩვენი ჯარები წარმატებით იგერიებენ. შემოთხვევითი როდია, რომ წითელმა არმიამ გასული წლის განმავლობაში გერმანელთა ჯარები დასავლეთისაკენ ალაგ-ალაგ 1.500-მდე კილომეტრით უკუაგდო. თავისი ნება-სურვილით კი არ დაუტოვებიათ გერმანელებს ყუბანის, დონის, მარცხენა ნაპირის უკრაინის უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო რაიონები, უდიდესი სამრეწველო ცენტრები — დონბასი, ზაპოროჟიე, დნეპროპეტროვსკი, კიროვოგრადი და სხვები. იქიდან ისინი ჩვენმა წითელმა არმიამ განდევნა. ახლა წითელი არმია სასახელო გამარჯვებებს აღწევს ლენინგრადთან.

საკუთარ სიცრუეში საბოლოოდ გაბმული ჰიტლერელი ბრიყვები, შეიძლება პირდაპირ ითქვას, გერმანიის არმიის უკანდახევის მიზეზთა სულელურ ახსნა-განმარტებას იძლევიან. სტალინგრადთან გერმანელთა ჯარების განადგურების შემდეგ ჰიტლერელები ამბობდნენ: „სტალინგრადის დაკარგვას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. აი, საბჭოთა ჯარებმა რომ დონის ან ყუბანის რაიონები ჩაიგდონ ხელში, — მაშინ სხვა საქმეაო“. დონისა და ყუბანის რაიონებიდან გერმანელთა ჯარების განდევნის შემდეგ გერმანელები კიდევ მამლაყინწობდნენ და დააყოლებდნენ: „დონისა და ყუბანის დაკარგვა არაფერს ნიშნავს. აი, საბჭოთა ჯარებმა რომ დონბასი ჩაიგდონ ხელში, — მაშინ სხვა საქმეაო“. დონბასში გერმანელთა ჯარების განადგურების შემდეგ ჰიტლერელები ბუტბუტებდნენ: „დონბასში არახელსაყრელი პოზიციები იყო. აი, საბჭოთა ჯარები რომ დნეპრზე გადმოვიდნენ, მაშინ სხვა საქმეაო“.

წითელი არმიის დარტყმების შედეგად გერმანელები „ამოკლებდნენ“ ფრონტის ხაზს 1941 წლის ზამთარში. განგრძობადნენ ფრონტის შემოკლებას 1942 წლის ზამთარში, 1943 წლის ზაფხულში და ამასვე სჩადიან ახლა— 1944 წლის ზამთარში, მაგრამ, როგორც ხალხური თქმულება ამბობს, — „რასაც დაამოკლებ—ვერ დაიბრუნებო“. დეე „ამოკლონ“ და „ამოკლონ“.

ჩვენი არმია და ჩვენი ხალხი დარწმუნებული არიან: ჰიტლერელები იქამდე დამოკლდებიან, რომ ფრონტის ყველაზე მოკლე ხაზი გერმანიის არმიისათვის გაიკვლის მდინარე შპრეეზე, რომელზედაც ბერლინი მდებარეობს. (**მქუხარე ტაში**).

საბჭოთა სტრატეგიისა და ტაქტიკის, ჩვენი ჯარების მხედრული ოსტატობისა და მორალური სულისკვეთების უპირატესობა ურყევად დამტკიცებულია ომის მთელი მსვლელობით. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე იმ უდიდესი ოპერაციების განხორციელებაში, რომელიც დამუშავებულია წითელი არმიის უმაღლესი სარდლობის მიერ, ჩვენმა გენერლებმა და ოფიცრებმა გვიჩვენეს ოპერატიული ხელოვნების ღირსშესანიშნავი ნიმუშები, ხოლო წითელი არმიის ჯარისკაცებმა — გმირობა და საბრძოლო გაწვრთნილობა.

საბჭოთა ქვეყანა ამაყობს სახელოვანი სტალინური გენერლებით, საბჭოთა არმიების მხედართუფროსებით.

საბჭოთა ქვეყანა ამაყობს წითელი არმიის მებრძოლი ოფიცრებით, რომლებმაც სამხედრო ოსტატობის შესანიშნავი სტალინური სკოლა გაიარეს.

საბჭოთა ქვეყანა ამაყობს თავისი არმიის ჯარისკაცებით, რომლებმაც კიდევ უფრო გაუთქვეს რუს მეომრებს საუკუნეობრივი სახელი.

ახლა მთელი საქმე ის არის, რომ მიღწეულით არ დავკმაყოფილდეთ. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მტერიც არ დგას ერთ ადგილას, რომ გერმანელთა სარდლობა, ისწრაფვის რა გადაავადოს ფაშისტური არმიის საბოლოო დაღუპვა, ცდილობს გამოიგონოს ბრძოლის ახალი ხერხები და წესები. აი რატომ არის, რომ **საბჭოთა მხედართუფროსებისათვის ურყევი კანონია შესრულება უმაღლესი მთავარსარდლის — ამხანაგ სტალინის ბრძანებათა სამხედრო ოსტატობის მუდმივი სრულყოფის შესახებ, შესრულება მისი მოთხოვნისა — დღითი-დღე ავიდნენ ახალ-ახალ საფეხურზე სამხედრო ხელოვნებაში სრულყოფის მხრივ.**

და ეშვი არ არის, რომ წითელი არმია და მისი მეთაურები განუხრელად შეასრულებენ სტალინის ბრძანებებს, განუწყვეტლივ, დაუცხრომლად ისწავლიან, სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო ოსტატობას, არ დაკმაყოფილდებიან მიღწეულით.

წითელი არმიის გამარჯვებანი, — ეს არის საბჭოთა წყობილების გამარჯვებანი ფაშიზმის სისხლიან რეჟიმზე. წითელ არმიაში, მის ორგანიზაციაში, მის სტრატეგიულ დოქტრინაში, მოქნილ ტაქტიკაში, შესანიშნავ საუურველში, მაღალ მორალურ სულისკვეთებაში ასახულია საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემის სრულყოფილება, საბჭოთა კავშირის უპირატესობა ჰიტლერულ გერმანიაზე.

ამხანაგებო! წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ საომარი მოქმედების ხელმძღვანელობამ გააცამტვერა მტრის ყველა ვარაუდი და ჩვენდა სასარგებლოდ შეატრიალა ომის მსვლელობა. ომების ისტორიისათვის უცნობია ისეთი მაგალითები, როცა ომის მიმდინარეობა, რომელიც დასაწყისში ერთი მხრისათვის ესოდენ არახელსაყრელი იყო, ასეთი ოსტატობით ყოფილიყოს გარდატეხილი, ხოლო არმიას, რომელსაც სამხედრო გენიოსის მტკიცე ხელი წარმართავდა, ასეთი გამარჯვებები მოეპოვებინოს. გერმანელი მტარვალების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი, რომელსაც ამხანაგი სტალინი წარმართავს და ასულდგმულებს, ომების ისტორიაში შევა, როგორც ჯარების ხელმძღვანელობის, ომის წარმოების უმაღლესი ხელოვნების განსაცვიფრებელი ნიმუში. (**მქუხარე ტაში**).

ჩვენი ძალები იზრდებიან და მტკიცდებიან

ამხანაგი სტალინი ჩვენ გვასწავლის, რომ ომში ის სახელმწიფოები და არმიები გამარჯვდებენ, რომლთა ძალები ომის მსვლელობაში იზრდებიან, ხოლო მარცხდებიან ის სახელმწიფოები და არმიები, რომლთა ძალები ომის მსვლელობაში იფიტებიან, მცირდებიან. ჰიტლერელ დამპყრობლებთან ომის დაწყებისშივე ამხანაგმა სტალინმა წინასწარ განაჭვრიტა, რომ ჩვენი ძალები ამ ომის მსვლელობაში, მიუხედავად მთელი რიგი ოლქებისა და ქალაქების დროებით დაკარგვისა, გაიზრდებიან და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. ეს წინასწარხედვა მთლიანად გაამართლა ომის მთელმა მსვლელობამ.

ომის დასაწყისში ჩვენი ხალხისა და უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის, მრეწველობის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების წინაშე წამოიჭრა ამოცანა — გაეზარდინათ საკუთარ ძალებზე და მოესპოთ გერმანელთა ოკუპატორების ტანკების, თვითმფრინავების, ნაღმსატყორცნების, ავტომატების რაოდენობის მხრივ. ეს უძნელესი ამოცანა იყო. საკითხი ასე იდგა: შესძლებს თუ არა საბჭოთა სახელმწიფო, ომიანობის დროის ძნელ პირობებში, უზრუნველჰყოს სახალხო მეურნეობის ძალების ზრდა, სამხედრო ინდუსტრიის სწრაფი განვითარება. ასეთი ამოცანა, ამასთან განუზომლად ნაკლები მასშტაბით, ვერ გადასჭრა ვერც მეფის რუსეთმა, ვერც ვილჰელმის გერმანიამ პირველი მსოფლიო ომის წლებში. მათი ეკონომიკა ომის მსვლელობაში ქვეითდებოდა, ინგრეოდა. ასეთსავე ბედს უწინასწარმეტყველებდნენ ჰიტლერელები ჩვენს საბჭოთა ეკონომიკასაც. მაგრამ მათი წინასწარმეტყველებანი უაზრონი აღმოჩნდნენ. საბჭოთა მეურნეობა ჭიმე ომის პირობებშიც განაგრძობდა თავისი სიმძლავრის ზრდასა და გადიდებას.

ჩვენმა გმირმა ხალხმა და პირველ რიგში ჩვენმა მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებთან ერთად, წარმატებით გადასჭრეს ეს ამოცანა.

ახლა მუშათა კლასის, ინჟინრებისა და ტექნიკოსების საბრძოლო ამოცანაა იარაღის, საომარი მასალების, საუურველის გამოშვების, ლითონის გამოდნობის, ქვანახშირის მოპოვების, ელექტრო-ენერგიის წარმოების გადიდება, ხოლო ტრანსპორტის მუშაკთა ამოცანაა სწრაფად მიაწოდონ საუურველი ფრონტს.

იმისათვის, რომ წითელი არმია და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა უზრუნველყოფილიყო სურსათით, ხოლო მრეწველობა ნედლეულით, საჭირო იყო დაგვეძლია უმაგალითო სიძნელენი სოფლის მეურნეობაში, რაც შეიქმნა უკრაინის, დონისა და ყუბანის სასოფლო-სამეურნეო რაიონების დროებით დაკარგვასთან დაკავშირებით, საჭირო იყო თუნდაც ნაწილობრივ შეგვეკვსო ეს დანაკლისი აღმოსავლეთი რაიონების სოფლის მეურნეობის განვითარების ხარჯზე.

საბჭოთა კოლმეურნე გლეხობამ შესძლო გადაეჭრა ომიანობის დროის ეს უძნელესი ამოცანა და უზრუნველეყო წითელი არმიისა და ჩვენი ქვეყნის მომარაგება სურსათითა და ნედლეულით.

ახლა ჩვენი კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკების საბრძოლო ამოცანაა გადიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქცია ფრონტისა და ჩვენი ქვეყნის საჭიროებისათვის.

ომის მესამე წელს ჩვენ გვაქვს გამართული და სწრაფად ზრდადი სამხედრო მეურნეობა. ამრიგად, საბჭოთა მეურნეობას აღმოაჩნდა იმის უნარი, რომ ომის მსვლელობაში გაედიდებინა თავისი ძალები, და ამით დამტკიცა თავისი უპირატესობა გერმანელ ფაშისტთა მონურ-ბატონყმურ ეკონომიკაზე.

ჩვენი მეურნეობის განმტკიცების ახალი დამატებითი წყაროა ის ღმშენებლობითი მუშაობა, რაც ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში გაჩაღდა.

გერმანელებმა გაძარცვეს და დაანგრიეს აყვავებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონები, რომლებიც კი დროებით იყვნენ ოკუპანტების ქუსლქვეშ. ამ რაიონებს სიცოცხლე წითელი არმიის მისვლასთან ერთად დაუბრუნდა. სულ რამდენიმე თვემ განელო დონბასის განთავისუფლების შემდეგ, და დონეცის ქვანახშირი უკვე მსხდის რკინიგზებს, ფაბრიკებსა და ქარხნებს. ფართო ფრონტით სწარმოებს შახტების, მეტალურგიული და სხვა ქარხნების აღდგენის სამუშაოები.

ეს მხოლოდ დასაწყისია აღდგენითი სამუშაოებისა, რომლებშიც მონაწილეობას იღებს მთელი ჩვენი ქვეყანა.

პარტია და მთავრობა უკვე ახლა, ომის პირობებში, მუდმივად ზრუნავენ, რომ გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ მოსახლეობას ყველა აუცილებელი პირობა ჰქონდეს ნორმალური ადამიანური ცხოვრებისათვის. პარტია და მთავრობა განსაკუთრებით ზრუნავენ ჩვენი ფრონტელების ოჯახებისათვის.

წინანდელ ომებში ჯარისკაცთა ოჯახებს ბედის ანაბარა სტოვებდნენ, ეს ოჯახები ნადგურდებოდნენ და სიღატაკეში ვარდებოდნენ.

წითელი არმიის მეომრები ხედავენ, რომ საბჭოთა სახელმწიფო მათს ოჯახებს გაჭირვებაში არ სტოვებს. მათ იციან, რომ — ეს მათი, საკუთარი, მშობლიური ხელისუფლებაა, რომ იგი დაეხმარება მათს ცოლებსა და შვილებს, მამებსა და დედებს აღადგინონ გერმანელი მტარვალების მიერ დანგრეული მეურნეობა. ეს არის ჩვენი ჯარების მაღალი მორალურ-საბრძოლო სულისკვეთების ერთ-ერთი წყარო.

გერმანელი მტარვალები ცდილობდნენ გაეტეხათ ჩვენი ხალხის ნებისყოფა და სიმტკიცე სისხლიან ბოროტმოქმედებათა საშინელი თარეშით, ტერორით, სახრჩობელებითა და „დუშეგუბაკებით“. წითელი არმიის შეტევის ყოველ დღესთან ერთად სულ უფრო და უფრო აშკარავდება ფაშისტი ყაჩაღების საშინელ ბოროტმოქმედებათა სურათი. გერმანელი ყაჩაღები კაციჭამიების გულცივი ანგარიშიანობით აწამებდნენ და სახრჩობელებზე ჰკიდებდნენ, ჰკლავდნენ და სწვავდნენ, „დუშეგუბაკებში“ სწამლავდნენ ასეულათასობით საბჭოთა ადამიანებს. მოსპონ ერის საუკეთესო ნაწილი, საბჭოთა მოსახლეობის ყველაზე აქტიური, სიცოცხლისუნარიანი ნაწილი, ხოლო დანარჩენები დააშინონ და უტყვე მონებად გადააქციონ — ასეთია ჰიტლერელთა სისხლიანი პოლიტიკა. მაგრამ ჰიტლერელი ყაჩაღების ეს ვარაუდიც ჩაშალეს საბჭოთა პატრიოტებმა. წითელმა არმიამ ფაშისტური მონობისაგან გაათავისუფლა მილიონობით საბჭოთა ადამიანები. გერმანელთა მხეცობამ კი არ გასტეხა საბჭოთა ხალხის ნებისყოფა, არამედ კიდევ უფრო გააღვივა გულის-წყრომა და სიძულვილი გერმანელი დამპყრობლებისადმი. შურისძიება და სიკვდილი გერმანელ ავაზაკებს! — აი ჩვენი პასუხი ჰიტლერელი კაციჭამიებისადმი. (**ხანგრძლივი ტაში**).

ომის მსვლელობაში გაიზარდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი ყველა იმ ხალხის თვალში, რომლებიც იბრძვიან ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ. განმტკიცდა, გაძლიერდა მისი საგარეო პოლიტიკური ურთიერთობა.

გაცამტვერდა ჰიტლერელთა გეგმები, რომლებიც დემოკრატიული ქვეყნების გათიშვას ითვალისწინებდნენ. განმტკიცდა ნდობა და ერთიანობა ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნებს შორის. ამას, უწინარეს ყოვლისა, ბოლშმობენ მოსკოვისა და თეირანის კონფერენციების გადაწყვეტილებანი, მოსკოვისა და თეირანის კონფერენციების შედეგად შემუშავებულია გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ჰიტლერული გერმანიის სრულ და საბოლოო განადგურებას. მიღწეულია შეთანხმება სამი ოკეანეში ერთ სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი საომარი ოპერაციების ვადებისა, მიმართულებისა და მასშტაბის შესახებ.

* * *

ამხანაგებო! გასული წლის მანძილზე საბჭოთა ხალხმა ბევრი და შეუპოვრად იმუშავა იმისათვის, რომ მოაახლოოს ჰიტლერულ გერმანიაზე საბოლოო გამარჯვება. ახლა უკვე ცხადია, რომ საქმე ჰიტლერული გერმანიის განადგურებისაკენ მიდის. გერმანელთა არმია კატასტროფის წინაშე დგას. მაგრამ იგი თავისთავად არ დაიშლება. შეუუნარებელი შეცდომა იქნება, რომ ჩვენ, ბოლშევიკები, მიღწეულით დავკმაყოფილდეთ.

ჩვენი პარტია აღზარდეს ლენინმა და სტალინმა, რომლებიც ვერ ითმენენ თვითდამშვიდებულობას, ასწავლიან პარტიას არ გააბრუოს წარმატებებმა. მოპოვებული გამარჯვებანი — გვასწავლიან ჩვენ ლენინი და სტალინი — ახალ გამარჯვებათა, ახალ წარმატებათა მიღწევის საფუძველს, საძირკველს უნდა წარმოადგენდენო. წარმატებები და მიღწევები არაიშვიათად თავბრუს ახვევენ კაცს, წარმოშობენ უდარდელობას, საკუთარი ძალების ზედმეტად შეფასებას და მტრის ძალების არასათანადოდ შეფასებას, მეტის მეტ გულდაჯერებულობასა და ყოყოჩობას. ეს განწყობილებები ყოველთვის წარმოადგენდნენ სერიოზულ საფრთხეს, მით უფრო ომში ზონაში არიან ისინი ომის პირობებში. ჩვენ გამარჯვების საქმეს დავიუპავთ, ჩვენს რიგებში რომ თვითდამშვიდებულობის განწყობილება გაბატონდეს.

ჩვენს ხალხს, ჩვენს პარტიას მოუხდება კიდევ ბევრი და ენერგიულად იმუშაოს, რომ გამარჯვებამ ბზეიმოს. ჩვენ მობილიზაცია უნდა ვუყოთ მთელ ძალებს, ჩვენი არმიის მთელ ძლიერებასა და ოსტატობას, რათა მთლად გავანადგუროთ ფაშისტი დამპყრობნი, ვინაიდან გამარჯვება, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — უბრძოლველად და დაუძაბავად არ მოვა, იგი ბრძოლით მოიპოვება. წითელი არმია, საბჭოთა ზურგი, მთელი ჩვენი ხალხი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ საბოლოო გამარჯვების ეს დღე მოაახლოონ.

ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი ძალა ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ხალხში არის ბოლშევიკური პარტია და ჩვენი ბელადი ამხანაგი სტალინი. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

ბოლშევიკურმა პარტიამ ჩვენი ქვეყნის ეზრომელი მიიყვანა თავისუფალი, ძლიერი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნამდე, ხოლო როცა სამშობლოს მრისხანე საფრთხე დაემუქრა, ადაგზნო. საბჭოთა ხალხი საზიზღარ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ფშინდა სამამულო ომისათვის.

ლენინ-სტალინის პარტიამ ერთი მიზნისაკენ წარმართა და დარაზმა ხალხის ძალები იმისათვის, რომ დაიცვას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარნი, ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ლენინ-სტალინის პარტია მუდამ ზრდიდა ხალხს საბჭოთა პატრიოტიზმის, თავისი სამშობლოს მხურვალე სიყვარულის, ბრძოლაში უშიშრობისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტრებისადმი ულმობლობის სულისკვეთებით. ახლა ბოლშევიკების პარტიას სამართლიანად შეუძლია სთქვას, რომ მისმა მრავალი წლის მუშაობამ თავისი კეთილი შედეგები მოიტანა.

ჩვენმა ხალხმა სამამულო ომში ურყევი ერთიანობა გამოიჩინა. მთელი ჩვენი ქვეყანა გაერთიანდა თავისი დიდი, ბრძენი ბელადის გარშემო. ლენინის დიდი თანამებრძოლი, მისი უკვდავი საქმის განმგრძობი, ჩვენი უმაღლესი მთავარსარდალი ამხანაგი სტალინი მიუძღვება არმიასა და ხალხს სრული გამარჯვებისაკენ, ჩვენი მართალი საქმის ზეიმისაკენ. (**მქუხარე ტაში**).

გაუმარჯოს ლენინიზმს — ბრძოლებში ნაცად ჩვენს ერთგულ დროშას, რომლითაც ჩვენ ვიმარჯვებთ და გავიმარჯვებთ! (**ტაში**)

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს, გმირ ხალხს, მეომარ ხალხს! (**ტაში**)

გაუმარჯოს წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს! (**ტაში**)

გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს, რომელიც მიგვიძღვის საბოლოო გამარჯვებისაკენ! (**მთელი დარბაზის მქუხარე ოვაცია. სხდომის ყველა მონაწილენი ფეხზე დგებიან და მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“**).

ლენინის გარდაცვალების XX წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო-სამგლოვიარო იერსახე რუსთაველის თეატრში

გუშინ, 21 იანვარს საღამოს რუსთაველის სახელობის თეატრში შესდგა პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების აქტივის საზეიმო კრება, სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი **ვ. ი. ლენინის** გარდაცვალების XX წლისთავისადმი.

სცენის სიღრმეში ალისფერ ფონზე მოსჩანდა ვლადიმერ ილიჩის დიდი პორტრეტი, რომელსაც ზემოთ ამშვენებდა წარწერა:

— გაუმარჯოს ლენინიზმს!

მაღლა, ავანსცენის თაგზე წითელ არშიაზე წარწერილია ლენინის უკვდავი საქმის დიადი განმგრძობის, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდალი ხალხთა ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი მიმართული მისალმებათა სიტყვები:

— გაუმარჯოს დიდ სტალინს!

პრეზიდიუმის მაგიდასთან არიან ამხ. ვ. ბაქრაძე, მ. ბარამია, არმიის გენერალი ი. ტიულენევი, ვ. ბუჯიაშვილი, პ. შარია, ი. თავაძე, მ. ჩუბინიძე, ე. ჩერქეზია, მოძრაობის პირველი რანგის გენერალ-დირექტორი გრ. კოკანაძე, პ. ეფიმოვი, პ. გუდიმენკო, საბჭოთა კავშირის გმირი იაკოვენკო, ირ. მაისაია, ა. კვაჭაძე, ზ. კეცხოველი, ა. ხუციძე, ვ. ლოლაძე, გ. ლეარსაბოვი, კ. ბოშტარია, გ. რობაქიძე, ი. წიკლაური, გ. კიკნაძე, აკადემიკოსი ნ. კეცხოველი, პროფ. კ. ერისთავი, ირ. აბაშიძე, ა. ვასაძე, ა. ხორავა, სოციალისტური შრომის გმირები ნ. გელაძე და შ. კოხრეიძე, ა. ჯორბენაძე, შ. ლომბაშიძე, თ. ჭავჭავაძე, არ. ქურდიანი, ლ. კაკაბაძე და სხვ.

საზეიმო-სამგლოვიარო სხდომა გახსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩერქეზიამ.

იგი წინადადებას იძლევა ფეხზე აღგომით სცენ პატივი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნას.

ყველანი ფეხზე დგებიან.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ხუციძემ შემოიტანა ტოსტი — [illegible] ზიდიუმის არჩევის შესახებ.

— დიდი სტალინი!

დიდი მხედართმთავრისა და მშრომელთა საყვარელი ბელადის, ლენინის საქმის დიადი განმგრძობის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის პატივსაცემად მთელი დარბაზი ფეხზე დგება. დიდ ხანს გრძელდება ოვაცია.

სამპატიო პრეზიდიუმში აგრეთვე მხურვალე ტაშის გრიალში აირჩიეს ამხანაგები — **მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, მიკოიანი, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, მალენკოვი, შჩერბაკოვი, ვოზნესენსკი.**

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XX წლისთავისადმი მიძღვნილი ვრცელი მკაფიო მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. პ. შარია.

ხანგრძლივი ძლიერი ტაშითა და დიდი სტალინისადმი მიმართული მისალმებათა შეეხვა ძახილებით შეხვდა კრება მომხსენებლის სიტყვებს, სადაც იყო ლაპარაკობდა, იმის შესახებ, რომ ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი, წით